

ქალაქ ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N57 საცხოვრებელ სახლზე, მოქალაქეების რევაზი და ემზარი ნოზაძეებისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა შევჩენკოს ქუჩა N57 საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მოქალაქეების რევაზი და ემზარი ნოზაძეების განცხადება /2013 წლის 03.07 N6-6998/, რითაც ითხოვენ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N57 საცხოვრებელ სახლზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქეებს რევაზი და ემზარი ნოზაძეებს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N57 საცხოვრებელ სახლზე /საერთო ფართობი 72,03 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 50,49 კვ.მ, დამხმარე ფართობი 21,54 კვ.მ. რომელიც განთავსებულია 437,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე/ მოქალაქეების რევაზი და ემზარი ნოზაძეების სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი